გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №64

2024 წლის 12 აპრილი
ქ. გორი

ქალაქ გორში, სტალინის გამზირისა და ქუთაისის ქუჩის კვეთასთან (სტალინის გამზირის №31-ის მიმდებარედ) და ქუთაისის ქუჩაზე (ი.ბ სტალინის სახლ-მუზეუმის უკან) საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად, მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნიათ ქალაქ გორში, სტალინის გამზირისა და ქუთაისის ქუჩის კვეთასთან (სტალინის გამზირის №31-ის მიმდებარედ) განთავსდეს საგზაო ნიშანი 2.3 - „დაუთმე გზა“ და ქუთაისის ქუჩაზე (ი.ბ სტალინის სახლ-მუზეუმის უკან) განთავსდეს საგზაო ნიშანი 2.1 - „მთავარი გზა“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, სტალინის გამზირისა და ქუთაისის ქუჩის კვეთასთან (სტალინის გამზირის №31-ის მიმდებარედ) განთავსდეს საგზაო ნიშანი 2.3 - „დაუთმე გზა“ და ქუთაისის ქუჩაზე (ი.ბ სტალინის სახლ-მუზეუმის უკან) განთავსდეს საგზაო ნიშანი 2.1 - „მთავარი გზა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. ქალაქ გორში, სტალინის გამზირისა და ქუთაისის ქუჩის კვეთასთან (სტალინის გამზირის №31-ის მიმდებარედ) განთავსდეს საგზაო ნიშანი 2.3 - „დაუთმე გზა“ და ქუთაისის ქუჩაზე (ი.ბ სტალინის სახლ-მუზეუმის უკან) განთავსდეს საგზაო ნიშანი 2.1 - „მთავარი გზა“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**